ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (რეგულირებადი)

პროგრამის სახელწოდება: საერთაშორისო სამართალი/International Law

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სწავლების ენა: საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე

მისანიჭებელიაკადემიურიხარისხი/კვალიფიკაცია: საერთაშორისო სამართლის მაგისტრი/Master of International Law (მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და არანაკლებ 120 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში).

სწავლის სფეროების კლასიფიკატორით:სწავლების ვიწრო სფერო 042 სამართალი, სწავლების დეტალური სფერო 0421 სამართალი 0421.1.2. საერთაშორისო სამართალი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 2 წელს ანუ 4 სემესტრს შეადგენს.

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი, სამართლის დოქტორი - ირინე ქურდაძე

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

1. პროგრამის მიზნები

საერთაშორისოსამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა ეროვნული და საერთაშორისო სამართლის მიღწევების, მათი ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების, ქართული სამართლის განვითარებაზე ევროკავშირის სამართლის გავლენის, პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის მეთოდოლოგიური პრინციპების, იურიდიული მეცნიერების აქტუალური პრობლემების, იურიდიული კვლევის მეთოდების, აკადემიური პატიოსნების წესების, აკადემიური ეთიკის საკითხების, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითადი პრინციპების, სამოსამართლო სამართლის, როგორც სამართალშემოქმედების აქტის, ასევე სამოსამართლო ეთიკის წესებისა და მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებების შესახებ;
- გამოუმუშავოს საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის, საკანონმდებლო ნოვაციების, უახლესი მეცნიერული კვლევების ანალიზის, ასევე ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების თაობაზე საკუთარი კომპლექსური და ორიგინალური სამართლებრივი დასკვნების შემუშავების უნარი;
- გამოუმუშავოს პროფესიულ დონეზე საერთაშორისო სამართლის ნორმების განმარტების, სტრატეგიულ მიდგომების და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზების გამოყენების, საერთაშორისო სამართლის სფეროში იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებების, არასტანდარტული სამართლებრივი სიტუაციების შეფასების, სამართლებრივი ხარვეზების მოძიების და პრაქტიკაში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავების უნარი;
- გამოუმუშავოს საერთაშორისო სამართლის სფეროში აქტუალური სამეცნიერო სამართლებრივი პრობლემის ამოცნობის, მისი გადაწყვეტის შესაბამის სამეცნიერო გზების შემუშავების, საერთაშორისო სამართლის აქტუალურ საკითხებზე სამეცნიერო-კვლევითი პროცესის დაგეგმვის და სამეცნიერო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შემუშავების უნარი;

- გამოუმუშავოს აკადემიური, კომპლექსური და პროფესიული საზოგადოებისათვის საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების ქართულ და ინგლისურ ენებზე წერითი და ზეპირი ფორმით გაზიარების უნარი;
- გამოუმუშავოს სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის უცხოური სამართლებრივი საინფორმაციო რესურსებიდან, პირველადი მონაცემების, უახლესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და საერთაშორისო სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი;
- გამოუმუშავოს აკადემიური პატიოსნების წესების, სამეცნიერო კვლევის ეთიკური შედეგების, პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვისა და პროფესიული ცოდნის, სამართლებრივი პრაქტიკისა და სამართლებრივი ღირებულებების განვითარების უნარი.

2. სწავლის შედეგები (კურსდამთავრებულს უნდა ქონდეს შემდეგი დარგობრივი კომპეტენციები)

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

(A) აღწერს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიღწევებს, განვითარების ძირითად ტენდენციებს, გამოწვევებსა და ხარვეზებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების პრობლემებს, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიურ ცნებებს, პრინციპებს, აქტუალურ პრობლემებს, ეროვნული სამართლის ევროპის სამართალთან დაახლოების/ჰარმონიზაციის საკითხებს, ასევე იურიდიული კვლევის თანამედროვე მეთოდებს, აკადემიური პატიოსნების წესებს, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითად პრინციპებს, სამოსამართლო სამართლის საკითხებს, სამოსამართლო ეთიკის წესებს და მოსამართლეთა დისციპლინური სამართლაწარმოების თავისებურებებს;

(B) აანალიზებს თანამედროვე ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას, საერთაშორისო სამართლის უახლეს მეცნიერულ კვლევებს და საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების თაობაზე შეიმუშავებს საკუთარ კომპლექსურ და ორიგინალურ სამართლებრივ დასკვნებს;

(C) განმარტავს საერთაშორისო სამართლის ნორმებს პროფესიულ დონეზე, იყენებს სტრატეგიულ მიდგომებს და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზებს, აფასებს საერთაშორისო სამართლის სფეროში იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებს, არასტანდარტულ სამართლებრივ სიტუაციებს, პოულობს სამართლებრივ ხარვეზებს და პრაქტიკაში არსებული რთული, კომპლექსური პრობლემების თაობაზე შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის ახალ, ორიგინალურ გზებს;

(D) ამოიცნობს საერთაშორისო სამართლის სფეროში აქტუალურ სამეცნიერო სამართლებრივ პრობლემას, შეიმუშავებს მისი გადაწყვეტის შესაბამის სამეცნიერო გზებს, საერთაშორისო სამართლის აქტუალურ საკითხებზე გეგმავს სამეცნიერო-კვლევით პროცესს და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევით პროექტს/ნაშრომს;

(E) მსჯელობს აკადემიურ, კომპლექსურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე, აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით, წერითი და ზეპირი ფორმით;

(F) ავლენს სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის უცხოური სამართლებრივი საინფორმაციო რესურსებიდან, პირველადი მონაცემების, უახლესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და საერთაშორისო სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს;

(G) აღიარებს და პატივს სცემს აკადემიური პატიოსნების წესებს, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგებს, პროფესიული ეთიკის სტანდარტებს, მონაწილეობს პროფესიული ცოდნის, სამართლებრივი პრაქტიკისა და სამართლებრივი ღირებულებების განვითარებაში.

3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საერთაშორისოსამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სამართლის ან საერთაშორისო სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და B2 დონის ინგლისური ენისა და სპეციალობის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით.

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით.

ინგლისური ენის გამოცდისაგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ასევე კანდიდატი, ვისაც ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საფეხურზე ინგლისურენაზე გავლილი აქვს სასწავლო კურსი.

4. სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები

☒ ლექცია ☒ სემინარი ☒ ელექტრონული რესურსით სწავლება ☒ ელექტრონული სწავლება ☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☒ პრაქტიკული მუშაობა ☒ სხვა	საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზე. საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების მეთოდების შერჩევისას გაითვალისწინება სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის

	ტრანსფერულ უნარებს. ამასთან, წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

5. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა,

საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნოერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნოერო-კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომის) შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;
(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

6. დასაქმების სფეროები

საერთაშორისო სამართლის მაგისტრი მომზადებულია სამართლის სფეროში მაღალი რანგის იურიდიული პრაქტიკის განსახორციელებლად და სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად. შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ეძლევა იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის ან საერთაშორისო სამართლის მაგისტრის ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.

7. სწავლის გაგრძელების საშუალება

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლის, საერთაშორისო სამართლის ან სხვა მიმართულების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც დაშვების წინაპირობად მიიჩნევს საერთაშორისო სამართლის მაგისტრის აკადემიურ ხარისხს და რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე.

8. პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება მაგისტრანტებისათვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- 2500 მ^2 ფართზე განლაგებული სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები;
- საკონფერენციო დარბაზი;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გარდა იურიდიული ფაკულტეტთან არსებული სასემინარო ბიბლიოთეკა, სადაც ხელმისაწვდომია პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები (სულ 18 600-ზე მეტი ეგზემპლარი სახელმძღვანელო, მონოგრაფია, სამეცნიერო ჟურნალი, სასამართლო გადაწყვეტილებები, ლექსიკონები, ნორმატიული მასალა და სხვა);
- 134 კომპიუტერი ინტერნეტის თავისუფალი წვდომით;
- იმიტირებული სასამართლო პროცესის დარბაზი და მედიაციის ცენტრი.

9. პროგრამის ადამიანური რესურსი

საერთაშორისოსამართლის სამაგისტრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (4 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ-პროფესორი და 2 ასისტენტი) და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტები (4 მოწვეული სპეციალისტი/პროფესორი), რომელთაც აქვთ საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დანართში და შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

10. სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

საერთაშორისოსამართლის სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა წარმოებს როგორც უნივერსიტეტის, ასევე ფაკულტეტის ბიუჯეტებიდან.

გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე,

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ნაშრომების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა-დაბეჭდვაზე და ა.შ..

11. პროგრამის სტრუქტურა

საერთაშორისოსამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია სასწავლო კომპონენტი და კვლევითი კომპონენტი. საერთაშორისოსამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი წარმოდგენილია სავალდებულო სასწავლო კურსების (A), არჩევითი სასწავლო კურსებისა (B) და იურიდიული კლინიკის (C) სახით. საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი გულისხმობს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და მის საჯარო დაცვას.	
საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები (120 ECTS)	
საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი (90 ECTS)	
(A)	**სავალდებულო სასწავლო კურსები - 25 ECTS**
სავალდებულო სასწავლო კურსებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 25 კრედიტი. სავალდებულო სასწავლო კურსების მეშვეობით სტუდენტიშეიძენს ღრმა და სისტემურ ცოდნას: ● საერთაშორისო პოლიტიკაში სამართლის როლის, თანამედროვე საერთაშორისო საჯარო სამართლის განვითარების ისტორიისა და თეორიების, საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მიმართ ვალდებულებების, დოქტრინალური მიდგომების (საერთაშორისო სამართლის თეორიების), საერთაშორისო სამართალში ევროპული განსაკუთრებულობის, საერთაშორისო სამართალში თანმიმდევრული, პარალელური და წინააღმდეგობრივი ვალდებულებების, საერთაშორისო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დათქმების, იურისდიქციისა და ექსტერიტორიულობის, სახელმწიფო ტერიტორიის, ოკუპირებული ტერიტორიების, თვითგამორკვევის, ძალის გამოყენებისა და სახელმწიფოს პასუხისმგებლობის, ეროვნული (სახელმწიფო) უსაფრთხოების, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის და კანონის უზენაესობის პრობლემების შესახებ; ● საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ბაზისური მიდგომების, თანამედროვე საერთაშორისო სისტემის პოლიტიკური და სამართლებრივი მოწყობის მოდელების, გლობალიზმისა და ნაციონალიზმის ურთიერთმიმართების, კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის სამართლებრივი პრობლემების, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი კონცეფციების, ზესახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის მიდგომებისა და საერთაშორისო სისტემის მოწყობის ფუძემდებლური პრინციპების შესახებ;	

- საყოველთაო საერთაშორისო მართლწესრიგის, საყოველთაო საერთაშორისო სამართლის სისტემისა და დარგობრივი საერთაშორისო სამართლის თანაფარდობის, ევროპული ინტეგრაციის თეორიების, ევროკავშირის სამართლის ჩამოყალიბების წინაპირობების, ევროკავშირის ძირიდადი/პირველადი და მეორადი წყაროების იურიდიული ბუნების, ევროპის კავშირისა და წევრი სახელმწიფოების სამართლის ურთიერთდამოკიდებულების, ასევე საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ძირითადი ასპექტების, იურიდიული ბუნების და საქართველოს ვალდებულებების შესახებ;
- სამართლის რომანულ-გერმანული და ანგლო-ამერიკული სისტემების, კანონმდებლობის განუსაზღვრელობისა და ხარვეზების, მოსამართლეობრივი დამოუკიდებლობის, მოსამართლეთა ქცევის ძირითადი პრინციპების, მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების (დამოუკიდებლობა, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა, პატიოსნება, ეთიკური ნორმების დაცვა, თანასწორობა, კომპეტენტურობა და გულმოდგინება), სამოსამართლო ეთიკის წესების, საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსის მიზნებისა და ამოცანების, დისციპლინური სამართალწარმოების, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ;
- სამეცნიერო კვლევის, კვლევის მეთოდების, კვლევის დაგეგმვისა და საკვლევი თემატიკის განსაზღვრის, ნაშრომის ზოგადი სტრუქტურისა და მისი შემადგენელი ნაწილების, სამეცნიერო წყაროების მოძიებისა და დამუშავების, ციტირების ტექნიკის, ციტირების სტილის, სტილისტიკისა და კვლევის ენის, წყაროთა ანალიზისა და სამეცნიერო თარგმანის, ნაშრომის ტექნიკური სტანდარტისა და ფორმალური მოთხოვნების, ასევე აკადემიური პატიოსნების წესების, პლაგიატიზმის აკრძალვისა და აკადემიური ეთიკის შესახებ.

სავალდებულო სასწავლო კურსები გამოუმუშავებს სტუდენტს საკუთარი ორიგინალური აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბების, მისი არგუმენტირებული გადმოცემის (წერილობით თუ ზეპირად), ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის, ლიტერატურაზე მუშაობის, წერის დაგეგმვის, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის სფეროში კვლევითი ნაშრომის შესრულების უნარს.

(B)	**არჩევითი სასწავლო კურსები- 50 ECTS**

არჩევით სასწავლო კურსებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 50 კრედიტი. არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და შეიძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა საერთაშორისო სამართლის სფეროში.

არჩევითი სასწავლო კომპონენტი სტუდენტმა 10 კრედიტით შეიძლება შეავსოს უნივერსიტეტის სხვა სამაგისტრო პროგრამების ან/და ინსტიტუტთაშორის პარტნორობის ფარგლებში შემოთავაზებული კურსებით - მისი აკადემიური ინტერესებიდან გამომდინარე, პროგრამის

ხელმძღვანელთან შეთანხმებით.	
(C)	**იურიდიული კლინიკა- 15ECTS**
იურიდიული კლინიკის მიზანია სტუდენტებისათვის პრაქტიკაზე დაფუძნებული იურიდიული განათლების მიცემა. საუნივერსიტეტო ბაზის გარდა იურიდიული კლინიკა შეიძლება განხორციელდეს სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში, იურიდიულ (საადვოკატო) ბიუროებში, საჯარო დაწესებულებებში, აგრეთვე იურიდიული პროფილის არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში და სხვა შესაბამისი პროფილის დაწესებულებებში. თავის მხრივ, იურიდიული კლინიკა მიზნად ისახავს სტუდენტებში სამართლებრივი აზროვნების, სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, პროფესიული მეტყველების უნარის განვითარებასა და საბოლოოდ მაღალი კვალიფიკაციის იურისტის ჩვევების ჩამოყალიბებას. სპეციალობით მომუშავე სტუდენტმა (რაც დასტურდება სამსახურებრივი ცნობით დამსაქმებლისა და მისი უშუალო სამუშაო ფუნქციების შესახებ) იურიდიული კლინიკის ნაცვლად 15 კრედიტი შესაძლებელია დააგროვოს პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.	
საერთაშორისოსამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი	
სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა - 30 ECTS	
სტუდენტის მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი კვლევის შედეგები აისახება მის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომში. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს დასრულებულ სამუშაოს, რომელიც უნდა ასახავდეს სტუდენტის უნარს, ჩაატაროს კვლევითი ან სხვა სახის სამუშაოები. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და მისი საჯარო დაცვის მიზანია ჩამოუყალიბოს სტუდენტს საერთაშორისო სამართლის სფეროში კვლევის დამოუკიდებელად განხორციელების, მიღწეული შედეგების წარმოჩენისა და საკუთარი მსჯელობის საჯაროდ არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარი.	

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა
(მოდულები, საგნები შესაბამისი კრედიტების მითითებით)

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	კრედიტი /საათი				სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
				I წელი		II წელი			
				რეკომენდირებული სემესტრი					
				I	II	III	IV	საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
	სასწავლო კომპონენტი								
	სავალდებულო სასწავლო კურსები			**15**	**10**				
1.	ILAWM1001	საერთაშორისო სამართალი: შერჩეული საკითხები (ინგლისურად)	წინაპირობის გარეშე	5/125				31	94
2.	ILAWM1002	საერთაშორისო ურთიერთობები: თეორიული და სამართლებრივი ასპექტები	წინაპირობის გარეშე	5/125				31	94
3.	ILAWM1003	თანაფარდობის თეორიული და პრაქტიკული პრობლემები საერთაშორისო სამართალში	წინაპირობის გარეშე	5/125				31	94
4.	ILAWM1004	სამოსამართლო ეთიკა	წინაპირობის გარეშე		5/125			33	92
5.	ILAWM1005	აკადემიური და სამართლებრივი წერის სტანდარტები	წინაპირობის გარეშე		5/125			31	94

	არჩევითი სასწავლო კურსები			**15**	**20**	**15**			31
1.	ILAWM2001	ხალხთა თვითგამორკვევის უფლებისა და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპების თანაფარდობა თანამედროვე საერთაშორისო მართლწესრიგის კონტექსტში	წინაპირობის გარეშე	5/125				31	94
2.	ILAWM2002	შედარებითი კონსტიტუციური სამართალი: საერთაშორისო სამართლებრივი პერსპექტივა	წინაპირობის გარეშე	5/125				31	94
3.	ILAWM2003	კავკასიის შედარებითი პოლიტიკა რეგიონულ კონტექსტში	წინაპირობის გარეშე	5/125				31	94
4.	ILAWM2004	ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი და რელიგიური უმცირესობების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები	წინაპირობის გარეშე	5/125				31	94
5.	ILAWM2005	გაეროს უშიშროების საბჭო და საერთაშორისო სისხლის სამართალი: ურთიერთმიმართება	წინაპირობის გარეშე	5/125				31	94
6.	ILAWM2006	თანამედროვე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი: თეორიიდან პრაქტიკამდე	წინაპირობის გარეშე	5/125				31	94
7.	ILAWM2007	საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი და მისი გავლენა საზღვაო სამართლის განვითარებაზე	წინაპირობის გარეშე		5/125			31	94
8.	ILAWM2008	საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი	წინაპირობის გარეშე		5/125			31	94
9.	ILAWM2009	საერთაშორისო საფინანსო სამართალი	წინაპირობის გარეშე		5/125			31	94
10.	ILAWM2010	რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია (ECRI) და საქართველო (თეორიული და პრაქტიკული ასპექტები)	წინაპირობის გარეშე		5/125			31	94
11.	ILAWM2011	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი	წინაპირობის გარეშე		5/125			31	94
12.	ILAWM2012	ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ და ოჯახში	წინაპირობის		5/125			31	94

		ძალადობის წინააღმდეგ საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები	გარეშე						
13.	ILAWM2013	გენდერი და საერთაშორისო სამართალი	წინაპირობის გარეშე		5/125			31	94
14.	ILAWM2014	მიგრაციის მართვის საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო და ევროკავშირის სტანდარტები (ინგლისურად)	წინაპირობის გარეშე		5/125			31	94
15.	ILAWM2015	საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება	წინაპირობის გარეშე			5/125		31	94
16.	ILAWM2016	საავიაციო ტერორიზმი	წინაპირობის გარეშე			5/125		31	94
17.	ILAWM2017	გარემოს დაბინძურებისა და კლიმატის ცვლილების საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება	წინაპირობის გარეშე			5/125		31	94
18.	ILAWM2018	იმუნიტეტები საერთაშორისო სამართალში	წინაპირობის გარეშე			5/125		31	94
19.	ILAWM2019	კიბეროპერაციები და ძალის გამოყენების საერთაშორისო სამართალი (ინგლისურ ენაზე)	წინაპირობის გარეშე			5/125		31	94
	იურიდიული კლინიკა					**15**			
1.	ILAWM1006	იურიდიული კლინიკა	ILAWM1004			15/375		361	14
	კვლევითი კომპონენტი						**30**		
1.	ILAWM1007	სამაგისტრო ნაშრომი	ILAWM1005 80 ESTC				30/750	15	735
			სემესტრში	30	30	30	30		
			წელიწადში	60		60			
			სულ	120					

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

პროგრამის მიზნები	პროგრამის სწავლის შედეგები						
	(A)	(B)	(C)	(D)	(E)	(F)	(G)
პროგრამის მიზანიასტუდენტს შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა ეროვნული და საერთაშორისო სამართლის მიღწევების, მათი ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების, ქართული სამართლის განვითარებაზე ევროკავშირის სამართლის გავლენის, პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის მეთოდოლოგიური პრინციპების, იურიდიული მეცნიერების აქტუალური პრობლემების, იურიდიული კვლევის მეთოდების, აკადემიური პატიოსნების წესების, აკადემიური ეთიკის საკითხების, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითადი პრინციპების, სამოსამართლო სამართლის, როგორც სამართალშემოქმედების აქტის, ასევე სამოსამართლო ეთიკის წესებისა და მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებების შესახებ.	✓						
პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის, საკანონმდებლო ნოვაციების, უახლესი მეცნიერული კვლევების ანალიზის, ასევე ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების თაობაზე საკუთარი კომპლექსური და ორიგინალური სამართლებრივი დასკვნების შემუშავების უნარი.		✓					
პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს პროფესიულ დონეზე საერთაშორისო სამართლის ნორმების განმარტების, სტრატეგიულ მიდგომების და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციური გზების გამოყენების, საერთაშორისო სამართლის სფეროში იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებების, არასტანდარტული სამართლებრივი სიტუაციების შეფასების, სამართლებრივი ხარვეზების მოძიების და პრაქტიკაში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავების უნარი.			✓				
პროგრამის მიზანიასტუდენტს გამოუმუშავოს საერთაშორისო სამართლის სფეროში აქტუალური სამეცნიერო სამართლებრივი პრობლემის ამოცნობის, მისი გადაწყვეტის შესაბამის სამეცნიერო გზების შემუშავების, საერთაშორისო სამართლის აქტუალურ საკითხებზე სამეცნიერო-კვლევითი პროცესის დაგეგმვის და სამეცნიერო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შემუშავების უნარი.				✓			
პროგრამის მიზანიასტუდენტსგამოუმუშავოს აკადემიური, კომპლექსური და პროფესიული					✓		

საზოგადოებისათვის საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების ქართულ და ინგლისურ ენებზე წერითი და ზეპირი ფორმით გაზიარების უნარი.							
პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის უცხოური სამართლებრივი საინფორმაციო რესურსებიდან, პირველადი მონაცემების, უახლესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და საერთაშორისო სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი.						✓	
პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს აკადემიური პატიოსნების წესების, სამეცნიერო კვლევის ეთიკური შედეგების, პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვისა და პროფესიული ცოდნის, სამართლებრივი პრაქტიკისა და სამართლებრივი ღირებულებების განვითარების უნარი.							✓

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები	სწავლის შედეგები
პროგრამის მიზანიასტუდენტს შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა ეროვნული და საერთაშორისო სამართლის მიღწევების, მათი ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების, ქართული სამართლის განვითარებაზე ევროკავშირის სამართლის გავლენის, პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის მეთოდოლოგიური პრინციპების, იურიდიული მეცნიერების აქტუალური პრობლემების, იურიდიული კვლევის მეთოდების, აკადემიური პატიოსნების წესების, აკადემიური ეთიკის საკითხების, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითადი პრინციპების, სამოსამართლო სამართლის, როგორც სამართალშემოქმედების აქტის, ასევე სამოსამართლო ეთიკის წესებისა და მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებების შესახებ.	(A) **სტუდენტი** აღწერს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიღწევებს, განვითარების ძირითად ტენდენციებს, გამოწვევებსა და ხარვეზებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების პრობლემებს, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიურ ცნებებს, პრინციპებს, აქტუალურ პრობლემებს, ეროვნული სამართლის ევროპულ სამართალთან დაახლოების/ჰარმონიზაციის საკითხებს, ასევე იურიდიული კვლევის თანამედროვე მეთოდებს, აკადემიური პატიოსნების წესებს, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითად პრინციპებს, სამოსამართლო სამართლის საკითხებს, სამოსამართლო ეთიკის წესებს და მოსამართლეთა დისციპლინური სამართლაწარმოების თავისებურებებს.
პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის, საკანონმდებლო ნოვაციების, უახლესი მეცნიერული კვლევების ანალიზის, ასევე ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების თაობაზე საკუთარი კომპლექსური და ორიგინალური სამართლებრივი დასკვნების შემუშავების უნარი.	(B) **სტუდენტი** აანალიზებს თანამედროვე ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას, საერთაშორისო სამართლის უახლეს მეცნიერულ კვლევებს და საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების თაობაზე შეიმუშავებს საკუთარ კომპლექსურ და ორიგინალურ სამართლებრივ დასკვნებს.
პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს პროფესიულ დონეზე საერთაშორისო სამართლის ნორმების განმარტების, სტრატეგიულ მიდგომების და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზების გამოყენების, საერთაშორისო სამართლის სფეროში იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებების, არასტანდარტული სამართლებრივი სიტუაციების შეფასების, სამართლებრივი ხარვეზების მოძიების და პრაქტიკაში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავების უნარი.	(C) **სტუდენტი** განმარტავს საერთაშორისო სამართლის ნორმებს პროფესიულ დონეზე, იყენებს სტრატეგიულ მიდგომებს და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზებს, აფასებს საერთაშორისო სამართლის სფეროში იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებს, არასტანდარტულ სამართლებრივ სიტუაციებს, პოულობს სამართლებრივ ხარვეზებს და პრაქტიკაში არსებული რთული, კომპლექსური პრობლემების თაობაზე შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის ახალ, ორიგინალური გზებს.

პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს საერთაშორისო სამართლის სფეროში აქტუალური სამეცნიერო სამართლებრივი პრობლემის ამოცნობის, მისი გადაწყვეტის შესაბამის სამეცნიერო გზების შემუშავების, საერთაშორისო სამართლის აქტუალურ საკითხებზე სამეცნიერო-კვლევითი პროცესის დაგეგმვის და სამეცნიერო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შემუშავების უნარი.	(D) **სტუდენტი** ამოიცნობს საერთაშორისო სამართლის სფეროში აქტუალურ სამეცნიერო სამართლებრივ პრობლემას, შეიმუშავებს მისი გადაწყვეტის შესაბამის სამეცნიერო გზებს, საერთაშორისო სამართლის აქტუალურ საკითხებზე გეგმავს სამეცნიერო-კვლევით პროცესს და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევით პროექტს/ნაშრომს.
პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს აკადემიური, კომპლექსური და პროფესიული საზოგადოებისათვის საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების ქართულ და ინგლისურ ენებზე წერითი და ზეპირი ფორმით გაზიარების უნარი.	(E) **სტუდენტი**მსჯელობს აკადემიურ, კომპლექსურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე, აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით, წერითი და ზეპირი ფორმით.
პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის უცხოური სამართლებრივი საინფორმაციო რესურსებიდან, პირველადი მონაცემების, უახლესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და საერთაშორისო სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი.	(F) **სტუდენტი**ავლენს სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის უცხოური სამართლებრივი საინფორმაციო რესურსებიდან, პირველადი მონაცემების, უახლესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და საერთაშორისო სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს.
პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს აკადემიური პატიოსნების წესების, სამეცნიერო კვლევის ეთიკური შედეგების, პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვისა და პროფესიული ცოდნის, სამართლებრივი პრაქტიკისა და სამართლებრივი ღირებულებების განვითარების უნარი.	(G) **სტუდენტი** აღიარებს და პატივს სცემს აკადემიური პატიოსნების წესებს, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგებს, პროფესიული ეთიკის სტანდარტებს, მონაწილეობს პროფესიული ცოდნის, სამართლებრივი პრაქტიკისა და სამართლებრივი ღირებულებების განვითარებაში.

კურიკულუმის რუკა

სასწავლო კურსი	პროგრამის სწავლის შედეგები						
	(A)	(B)	(C)	(D)	(E)	(F)	(G)
საერთაშორისო სამართალი: შერჩეული საკითხები	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
საერთაშორისო ურთიერთობები: თეორიული და სამართლებრივი ასპექტები	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
თანაფარდობის თეორიული და პრაქტიკული პრობლემები საერთაშორისო სამართალში	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
სამოსამართლო ეთიკა	✓					✓	✓
აკადემიური და სამართლებრივი წერის სტანდარტები	✓	✓			✓	✓	✓
არჩევითი სასწავლო კურსები	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
იურიდიული კლინიკა			✓		✓	✓	✓
სამაგისტრო ნაშრომი	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓

სასწავლო კურსი	პროგრამის სწავლის შედეგები						
	(A)	(B)	(C)	(D)	(E)	(F)	(G)
საერთაშორისო სამართალი:შერჩეული საკითხები	I	I	I	I	I	I	I
საერთაშორისო ურთიერთობები: თეორიული და სამართლებრივი ასპექტები	I	I	I	I	I	I	I
თანაფარდობის თეორიული და პრაქტიკული პრობლემები საერთაშორისო სამართალში	I	I	I	I	I	I	I
სამოსამართლო ეთიკა	I					I	I
აკადემიური და სამართლებრივი წერის სტანდარტები	I	I			I	I	I
არჩევითი სასწავლო კურსები	D	D	D	D	D	D	D
იურიდიული კლინიკა			M		M	M	M
სამაგისტრო ნაშრომი	M	M	M	M	M	M	M

I – გაცნობა	D - გაღრმავება	M- განმტკიცება

დანართი №1.

ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ (აკადემიურიპერსონალი)		
№	**სახელი, გვარი**	**აკადემიურითანამდებობა /სამეცნიეროხარისხი**
1	ქურდაძე ირინე	პროფესორი / სამართლის დოქტორი
2	კორკელია კონსტანტინე	პროფესორი / სამართლის დოქტორი
3	ხუციშვილი ქეთევან	პროფესორი / სამართლის დოქტორი
4	მაცაბერიძე მალხაზ	პროფესორი / პოლიტიკისმეცნიერებათა დოქტორი
5	პატარაია დავით	პროფესორი / სამართლის დოქტორი
6	სირაძე ეკა	ასოცირებული პროფესორი / სამართლისდოქტორი
7	ბითაძე მაია	ასოცირებული პროფესორი / სამართლისდოქტორი
8	ზამბახიძე თამარ	ასოცირებული პროფესორი / სამართლისდოქტორი
9	რუხაძე ნინო	ასისტენტ-პროფესორი / სამართლის დოქტორი
10	კევლიშვილი მარიამ	ასისტენტ-პროფესორი / სამართლის დოქტორი
11	ალექსიძე თამარ	ასისტენტი

ინფორმაციაადამიანურირესურსისშესახებ (მოწვეულიპერსონალი)		
№	სახელი, გვარი	სამეცნიეროხარისხი
1	გეფერიძე დავით	მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი
2	კალანდარიშვილი-მიულერი ნათია	მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი
3	ბეგალიშვილი ნინო	მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი
4	ჯაიანი დავით	მოწვეული ლექტორი
5	ნიკო თათულაშვილი	მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი
6	ნინო ნიკოლაიშვილი	მოწვეული ლექტორი
7	გურამ ღვინჯილია	მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი
8	ირინა ბართაია	მოწვეული ლექტორი
9	გიორგი ნაკაშიძე	მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი
10	ხათუნა თოთლაძე	მოწვეული ლექტორი